დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება: N 12 ,, ო“ ,,13 ” თებერვალი 2024 წ	შეთანხმებულია: სსიპ კოლეჯის ,, ერქვანი“ სამეთვალყურეო საბჭოსთან ოქმი N 2 ,, 02 „ თებერვალი 2024წ

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“

განვითარების ერთწლიანი გეგმა

02.2024 – 02.2025 წ

ქ. ამბროლაური 2024 წ

სსიპ კოლეჯი „ერქვანი” 02.2024 – 02.2025 წლის

განვითარების ერთწლიანი სამოქმედო

გეგმა



ინფორმაცია განმცხადებლის და შემსრულებლის შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: *სსიპ კოლეჯი „ერქვანი“*

მისამართი : ქ. ამბროლაური ვაჟა-ფშაველას ქუჩა №10

ტელეფონი: (0439) 22-11-91

ელ.ფოსტა: koleji.erqvani @ gmail .com

დირექტორი: ფრიდონი ბუაძე

ტ: 595 06 86 47

ელ.ფოსტა: fridon .buadze568 @ gmail .com

კოლეჯის სახელფასო ანგარიში: ცენტრალური ხაზინა

მარეგისტრირებელი ორგანიზაციის დასახელება:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №.122/ნ 2019 წლის 19 ივნისი, სსიპ კოლეჯის „ერქვანი“ წესდების დამტკიცების შესახებ.

კოლეჯის საიდენტიფიკაციო კოდი: 222934671

სსიპ კოლეჯის ,, ერქვანი'' 2024 -2025 წლის სამოქმედო გეგმა, გამომდინარეობს 2018 -2024 წლების შვიდ წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, რომელიც შედგენილია კოლეჯის ადმინისტრაციისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობით.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ერთი წლის განმავლობაში შესასრულებელ სამუშაოებს და აქტივობებს. ემსახურება კოლეჯის მიზნების განხორციელებას, ახდენს ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) იდენტიფიკაციას, აღწერს შესრულების ინდიკატორებს, განსაზღვრავს განხორციელების პერიოდს და საჭირო რესურსებს.

სსიპ კოლეჯის ,,ერქვანი" განვითარების ერწლიანი (02. 2024 -02.2025) სამოქმედო გეგმა

№	სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	აქტივობები	განხორციელების პერიოდი	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი	საჭირო რესურსი	შენიშვნა
1	*მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესება*	მენეჯმენტის ახალი სისტემისა და სტანდარტების ჩამოყალიბება, რომლებიც კოლეჯის მენეჯმენტს გახდიან მეტად მოქნილს, ეფექტიანს და მუდამ მზადმყოფს, რომ სწრაფად მოახდინოს ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილების სწრაფი შესრულება და ყოვედღიურ საქმიანობაში ასახვა	საშტატო განრიგის გადახედვა და მასში აუცილებელი ცვლილებების შეტანა საჭიროების შემთხვევაში	იანვარი თებერვალი	კოლეჯის მენეჯმენტი გამართულად მუშაობს, რაც აისახება მართვის ეფექტურობაში, საკითხების სწრაფი და ზუსტ გადაჭრაში. პერსონალის დიდ ნაწილს გავლილი აქვს სხვადასხვა ტრენინგ კურსები. კლეჯის პერსონალი შერჩეულია	დირექტორი, ადმინისტარცია ხარისხის სამსახური	ადამიანური და ფინანსური რესურსები	
			დასაქმების მიზნით, პერსონალის პოზიციებზე აყვანისათვის ცნობილი საშუალებების გამოყენება(HR.ge; HR.gov.ge) საჭიროების შემთხვევაში	მთელი წლის განმავლობაში მოთხოვნის წარმოშვებისთანავე				

			მენეჯმენტში და სხვა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ორგანიზება, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პრსონალისთვის.	წლის განმავლობაში საჭიროების წამოშობისთანავე და შესაძლებლობის არსებობისთანავე	ობიექტურობის და გამჭირვალეობის გათვალისწინებით, შერჩევის არსებული საშუალებებით.			
			მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ადმინისტრაციის წევრების გამოკითხვა საჭიროებების და გამოწვევების შესახებ	ოქტომბერი და საჭიროების წარმოშვებისთანავე	გამოკითხვის ანალიზი ან შევსებული კითხვარი			
2	***კვლევა და განვითარება***	ბაზრის მოთხოვნების სრულყოფილად გაგების თვალსაზრისით, კვლევების ჩატარება და კოლეჯის შესამლებლობების განვითარება;	• სახელმწიფო და კერძო სტუქტურების გამოკითხვა, კვალიფიციური პროფესიული კადრების მიმართ მათი მოთხოვნების და საჭიროებების დადგენის მიზნით. • სხავა კვლევის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათ მიერ ჩატარებული კვლევების გამოყნება რეგიონში მოთხოვნადი პროფესიებისა და დასაქმების სფეროების გამოვლენის მიზნით.	მთელი წლის განმავლობაში საჭირობის შესაბამისად	➢ კოლეჯში არსებობს კვლევის შედეგების მონაცემთა ბაზა. კოლეჯს ორგანიზაციებთან გაფორმებულია ქვს თანამშრო მლობის მემორანდუმი; ➢ კოლეჯს მოპოვებული აქვს რეგიონში მოქმედი სხვა კვლევის ორგანიზაციების კვლევის ანალიზი, რომლის საფუძველზე მოხდა სასწავლო პროგრამის დამატება.	1.პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი; 2. ხარისხის მართვის მენეჯერი; 3. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი; 4. იურისტი 5. ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი	ადამიანური და ფინანსური რესურსები, რომელიც გაწერილია ბიუჯეტში	
			• კურსდამთავრებულთა გამოკითხვა	წლის განმავლობაში სასწავლო კურსის დასრულებისას და მას შემდეგ 3 წელი	გამოკითხვის ანალიზი			

			• ადგილობრივი დამსაქმებლების გამოკითხვა პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით.	წელიწადში ერთხელ	არსებობს დამსაქმებელთა გამოკითხვის კითხვარი და კითხვარის ანალიზი. ჩატარებული გამოკითხვის საფუზველზე შეტანილი ცვლილებები პროგრამის განხორციელებაში ან გაუმჯობესდა მატ. ტექნიკური ბაზა.	1.პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი; 2. ხარისხის მართვის მენეჯერი; 3. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი; 4. იურისტი 5. მატერიალური რესურსების მენეჯერი		
			• ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მე-9-12 კლასებში კვლევის ჩატარება სასურველი პროფესიების შესახებ და სკოლებში კონტიგენტის მოძრაობის ბაზის განახლება.	წელიწადში ორჯერ მაისი ოქტომბერი	სკოლებში მოსწავლეთა კონტიგენტის მოძრაობის ბაზა განახლებულია ბოლო მონაცემებით. კვლევის ანალიზი.			
			• პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული მოთხოვნადი პროფესიული პროგრამების განსაზღვრა,	წლის განმავლობაში პირველ და მესამე კვარტალში	კვლევის ანალიზის შედეგებით განისაზღვრა მოთხოვნადი პროფესიული პროგრამები. დაიგეგმა მიღება და ან მიმდინარეობს პროგრამის დამატება.			

		ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ლაბორატორიის შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება საწვლების პროცესის გასაუმჯობესებლად.	სასწავლო პროცესში ინოვაციური მიდგომების განხორციელება და პროფესიული სტუდენტებისთვის კოლეჯში არსებული მაღალი ტექნოლოგიების შეთავაზება.	სისტემატიურად წლის განმავლობაში	• კოლეჯის ფაბლაბის კოორდინატორი, რომელსაც გავლილი აქვს კვალიფიკაციის შესაბამისი ტრენინგები, სტუდენტებთან მართავს საინფორმაციო შეხვედრეს კოლეჯში არსებული მაღალი ტექნილოგიების შესახებ და ეხმარება მათ ბიზნესიდეების განხორციელებაში • დატვირთვით მუშაობს ,,ფაბლაბი"-ს საამქრო	• ფაბლაბის კოორდინატორი	ადამიანური და ფინანსური რესურსები	
		რეგიონის სასოფლო-სამეურნეო ცენტრთან თანამშრომლობა;	სოფლის მეურნეობის სპეციალობების დანერგვასა და განხორციელებაში თანამშრომლობა, კოლეჯის ბაზაზე კვლევების წარმოება, და შესაბამისი გარემოს მოწყობა.	წლის განმავლობაში	კოლეჯს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი. არსებობს პროგრამის ერთობლივი დაგეგმვისა და განხორციელების პრაქტიკა.	დირექტორი, კოლეჯის ადმინისტრაცია, შესაბამისი საშტატო ერთეულები(ხარისხის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ზრდასრულთა კოორდინატორი.	ადამიანური და ფინანსური რესურსები	
3	***პროფესიული სწავლების მიწოდების ხარისხის ზრდა***	➢ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების და სხვა შიდა	შინაგანაწესში ცვლილებების შეტანა საჭიროების შესაბამისად	წლის განმავლობაში საჭიროების წარმოშობისთანავე	კოლეჯის შიდა ნორმატიული დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება		ადამიანური ფინანსური რესურსები	

		ნორმატიული დოკუმენტაციის შესაბამისობაში მოყვანა განხორციელებულ საკანაონმდებლო ცვლილებებთან და ხარისხის ცენტრის რეკომენდაციებთან, ავტორიზაციის 5 სტანდარტთან და სხვა რეგულაციებთან.	სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებში ცვლილებების შეტანა საჭიროების შესაბამისად	თებერვალი მარტი აპრილი	საქართველოს კანონს ,,პროფესიული განათლების შესახებ“ და განხორციელეულ სხვა საკანონმდებლო ცვლილებებს , კოლეჯის წესდებას და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებს	ადმინისტრაცია; ხარისხის მართვის მენეჯერი; იურისტი		
			წესების და რეგულაციების შემუშავება კანონის მოთხოვნების შესაბამისად	წლის განმავლობაში				
		➢ პროფესიული პროგრამების,დუალური, კოოპერაციული და იმიტირებული სწავლების ფორმით დანერგვა და განხორციელება. ➢ კოლეჯის მომზადება რეავტორიზაციისათვის	პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე : კოოპერაციული, დუალური და ან იმიტირებული სწავლების ფორმით განხორციელებისთვის ,პროგრამების შემუშავება ადაპტაცია და განხორციელების უფლების მოპოვება ავტორიზაციის გზით. ავტორიზაციის 5 სტანდარტის მოთხოვნების დაკამაყოფილება	წლის განმავლობაში მოთხოვნის გამოკვეთის ან და წარმოშობისთანავე	კოლეჯში დანერგილია და ხორციელდება დუალური, კოოპერაციული და იმიტირებულ გარემოში, საგანმანათლებლო პროგრამები. კოლეჯი მზადაა ხელახალი ავტორიზაციის გასავლელად 2025 წელს.	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი; სასწავლო პროცესისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი მოდულის განმახორციელებელი პირები. ყველა დაინტერესებული პირი.	ადამიანური და ფინანსური რესურსები	

		➢ ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განხორციელება	• ინტეგრირებული პროგრამებისთვის საჭირო ლაბორატორიის მოწყობაკოლეჯში (ერთის მაინც)	ფართის არსებობისთანავე	კოლეჯში არსებობს ინტეგრირებული პროგრამებისთვის საჭირო ლაბორატორია და ავტორიზებული პროგრამა.	დირექტ.მოადგილე, ხარისხის მენეჯერი, მატერიალური რესურსების მენეჯერი	ადამიანური და ფინანსური რესურსები	
		ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და უფლება მოპოვებული/დადასტურებული სასერტიფიკატო მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელება	• პიარ კამპანიის წარმოება, საინფორმაციო ვიდეორგოლების, ბუკლეტების და სხვა ინფორმაციის საშუალებების გამოყენება, ბენეფიციარებზე ავტორიზებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით. • შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურების წარმოება კანონმდებლობის შესაბამისად. • საინფორმაციო პიარ კამპანიის წარმოება სპეციალური საგანმანათელბლო საჭიროების პირებიშთვის და შშმ პირებისთვის კოლეჯში არსებული სერვისების შესახებ.	თებერვლიდან ოქტომბრამდე	• კოლჯში არსებობს სასწავლო ჯგუფები, როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე , ასევე მომზადება/გადამზადების პროგრამებზე. • კოლეჯში სწავლობს სსსმ და შშმ პირები და სარგებლობენ მათთვის საჭირო სერვისებით.	ადმინისტრაცია, პროფორიენტაციის მენეჯერი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, დირექტორის ბრძანებით შექმნილი პიარ ჯგუფი. რეესტრის წარმოების სპეციალისტი	ფინანსური და ადამიანური რესურსები	

			• პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული დუალური, კოოპერაციული იმიტირებული პროგრამების განხორციელება და მონიტორინგი	მთელი წლის განმავლობაში	კოლეჯი ახორციელებს დუალურ, კოოპერაციულ, იმიტირებულ პროგრამებს და პროგრამების მონიტორინგს.	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი; სასწავლო პრცესის მენეჯერი; მოდულის განმახორციელებელი, პროგრამის ხელმძღვანელები	ადამიანური რესურსები, ფინანსური რესურსი	
			ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე და ან მის გარეშე, მომზადება/ გადამზადების პროგრამების შემუშავება და უფლების დადასტურება	აპრილი - ივნისი	კოლეჯს მოპოვებული აქვს განხორციელების უფლება. კოლეჯი ახორციელებს მომზადება/გადამზადების პროგრამებს	ხარისხის მენეჯერი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლები.	ადამიანური რესურსები, ფინანსური რესურსი	
			მომზადება/ გადამზადების პროგრამების განხორციელება და მონიტორინგი	მეორე მესამე და მეოთხე კვარტალი	კოლეჯში ხორციელედბა და განხორციელებულია პროგრამების ნაწილი და უტარდება მონიტორინგი		ადამიანური რესურსები	

		სასწავლო პროცესის სრულყოფილად ორგანიზების მიზნით ჰიბრიდული სწავლების ონლაინ სწავლების ფორმის გამოყენება, გაუმჯობესება და სრულყოფა	კოლეჯის აღჭურვა საჭირო ტექნოლოგიური და ტექნიკური საშუალებებით, პერსონალის და მასწავლებლების გადამზადება (ტრენინგების ჩატარება) ტექნოლოგიებში და ტექნიკური საშუალებების გამოყენებაში	წლის განმავლობაში	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მომზადება/გადამზადების პროგრამების (თეორიული ნაწილის) სწავლება პარალელურად ხორციელდება ონლაინ რეჟიმში	ადმინისტრაცია, მატერიალური რესურსების კოორდინატორი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ქსელის ადმინისტრატორი, დამხმარე თანამსრომელი.	ადამიანური და ფინანსური რესურსი და ფინანსური რესურსი	
		პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება (მომზადება და გადამზადება);	ადმინისტრაციის წევრების გამოკითხვა	წელიწადში ერთხელ	განხორციელებულია გადამზადების კურსების რამდენიმე ეტაპი; არსებობს შევსებული კითხვარები გამოკითხული ჯგუფების შესაბამისად; კვლევის ანალიზი; დაგეგმილი ან ჩატარებული ღონისძიებების აღრიცხვა	დირექტორის მოადგილე	ადამიანური და ფინანსური რესურსები	
			პროფესიული განათლების მასწავლებლის გამოკითხვა	წლის განმავლობაში (მოდულის დასრულების შემდეგ)		ხარისხის მართვის მენეჯერი; სასწავლო პროცესის და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი		
			პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა	წლის განმავლობაში (მოდულის დასრულების შემდეგ)		ხარისხის მართვის მენეჯერი; სასწავლო პროცესის და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი		
			კვლევის შედეგების ანალიზი	წლის განმავლობაში		ხარისხის მენეჯერი, პროფორიენტაციის		

						მენეჯერი		
			მოდულის განმახორციელებელი პირებისთვის ტრენინგების, გადამზადების კურსების ორგანიზება და ჩატარება	წლის განმავლობაში მოთხოვნის წამოშვებისთანავე		ხარისხის მართვის მენეჯერი; სასწავლო პროცესის და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი		
			ადმინისტრაციული პერსონალისთვის ტრენინგების, გადამზადების კურსების ორგანიზება და ჩატარება	გამოკითხვის შედეგებიდან და კოლეჯის საჭიროებიდან გამომდინარე	ადმინისტრაციული პერსონალს გავლილია აქვს საჭირო ტრენინგები და კურსები რაც დასტურდება სხვადასხვა ფორმით(ბრძანებები მივლინების, სერტიფიკატები, კოლეჯიდან გადახდილი ფინანსები კურსის განმახორციელებელზე და სხვა.)	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მენეჯერი		
		სასწავლო პროგრამების დივერსიფიცირება, მათი იმდაგვარად მოწყობა (კურსის ხანგრძლივობისა და თემატიკის მოქნილობა, სწავლების ფორმა), რომ ისინი თანაბრად მომხიბლავები და მისაღებნი იყვნენ ყველანაირი მომხმარებლისათვის.	პროფესიული პროგრამის, მომზადება/გადამზადების პროგრამების მომხმარებელთა გამოკითხვა პროგრამის გაუმჯობესების, მათი მოთხოვნებისა და საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.	წლის განმავლობაში	არსებობს მოქნილი სასწავლო პროგრამები, რომელიც მორგებულია მომხმარებლის მოთხოვნებზე და მომხმარებლები გამოთქვამენ კმაყოფილებას	ხარისხის მენეჯერი; პროფორიენტაციის ა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. სასწვლო პროცესის მენეჯერი	ადამიანური და ფინანსური რესურსები	

		მოკლევადიან სასწავლო კურსებზე აქცენტის გაკეთება (კერძო სექტორთან და სხვა მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა და მათთან ერთად მოკლევადიანი კურსების შემუშავება და განვითარება);	მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავება კონკრეტული სფეროს დამსაქმებლის ჩართულობით.	წლის განმავლობაში	კოლეჯი ახორციელებს მოკლევადიან სასწავლო კურსებს სხვადასხვა პროფესიებში კერძო სექტორის დაკვეთით და ან ბენეფიციარების მოთხოვნით	ხარისხის მენეჯერი პროფორიენტაცია კარიერის დაგეგმვის მენეჯერი; იურისტი დირექტორის მოადგილე	ადამიანური და ფინანსური რესურსები	
			დამსაქმებლებთან მემორანდუმების/ხელშეკრულებების გაფორმება	წლის განმავლობაში	კოლეჯში არსებობს დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები			
		ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შექმნა და სწავლისა და სწავლების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი;	სასწავლო-საწარმოო პროცესის მონიტორინგის სისტემის განვითარება.	სისტემატიურად წლის განმავლობაში	გაიზარდა სწავლების ხარისხი და შესაბამისად კოლეჯისადმი ნდობა, გაიზარდა სტუდენტების რაოდენობა. გაიზარდა დამსაქმებლებიდან კურსდამთაავრებულებზე მოთხოვნა.	ხარისხის მართვის მენეჯერი. სასწავლო და საწარმოო პროცესის მენეჯერი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი		
			შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების განხილვა პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად	წლის განმავლობაში საჭიროებისამებრ				
		კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მოზიდვა;	მოდულის განმახორციელებელ მასწავლებლებზე ანაზღაურების გაზრდა.	შესაძლებლობისთანავე	წინა წელთან შედარებით გაზრდილია საათის ანაზღაურება; კოლეჯში არსებობს მასწავლებლებისთვის წახალისების მექანიზმი; მასწავლებლებს აქვთ სამუშაო გამოცდილება და საქმიანობასთან დაკავშირებით გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრენინგები; კოლეჯში არსებობენ მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრები.	დირექტორი. დირექტორის მოადგილე ხარისხის მენეჯერი იურისტი	ადამიანური და ფინანსური რესურსები	
			წახალისების მექანიზმის დანერგვა.	წლის განმავლობაში				
			მასწავლებლებისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვადასხვა სახის	წლის განმავლობაში				

			კურსების ორგანიზება					
		არსებული სასწავლო სპეც. ლიტერატურის გაუმჯობესება	კოლეჯის ბიბლიოთეკის შევსება, განსახორციელებელი პროფესიების შესაბამისი ლიტერატურით	სისტემატიურად	გაუმჯობესდა კოლეჯის წიგნადი ფონდი	სასწ. პროცესის მენეჯერი ბიბლიოთეკარი მატერიალური რესურსების მენეჯერი	ფინანსური და მატერიალური რესურსი	
			ელექტრონული სამკითხველო ბიბლიოთეკის დანერგვა	მარტი აპრილი	სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია წიგნების ელექტრონული ვერსიები წაკითხვის მიზნით			
4	***სამთავრობო, საერთაშორისო და კერძო პარტნიორობის გაუმჯობესება***	განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და რეგიონში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კომუნიკაციის გაძლიერებისა და გაუმჯობესების მიზნით, ადმინისტრაციული საშუალებების ჩამოყალიბება და სრულყოფა;	ერთობლივი შეხვედრების გამართვა განათლების სამინისტროს წარმომადგელებთან, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან და არასამთავრობო სექტორის წარმომადგელებთან ერთად, კოლეჯის საჭიროებებიდან გამომდინარე, ქვეყნის და რეგიონის პრიორიტეტული ეკონომიკური მიმართულებების შესახებ ახალი პროგრამების დანერგვის მიზნით.	წლის განმავლობაში, სისტემატიურად, შესაძლებლობისთა ნავე	• კოლეჯში ხშირად იმართება შეხვედრები(მათ შორის ონლაინ) აღნიშნული სტრუქტურის წარმომადგენლებთან საჭირო საკითხების. გადაწყვეტის შესახებ, კოლეჯი მიწვეული იყო არასამთავრობო და სამთავრობო სექტორის მიერ გამართულ ფორუმებზე და რეგიონის განვითარებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე. • ზემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურები კოლეჯს ეხმარებიან პროფესიული განათლების პოპულარიზაციაში.		მიანური და ფინანსური რესურსი	

		კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაუმჯობესება, მემორანდუმების გაფორმება სასწავლო პროცესის, მათ შორის დუალური და კოოპერაციული სწავლების, ორგანიზების და საწარმოო პრაქტიკის ობიექტით სარგებლობის შესახებ.	კერძო სექტორის მოთხოვნადი პროფესიების განსაზღვრა, მათი მატერიალურ ტექნიკური ბაზის სასწავლო პროგრამასთან შესაბამისობის განსაზღვრა.	წლის განმავლობაში და პროგრამის დამატების შემთხვევაში	გამოკვთილია კერძო სექტორის მოთხოვნები და სასწავლო პროგრამები(პროფესიული, მომზადება/გადამზადების) შემუშავებულია მათი ჩართულობით. კოლეჯის საწარმოში ახორციელებს დუალურ და კოოპერაციულ სწავლებას. სასწავლო და ან საწარმოო პრაქტიკის ობიექტად იყენებს საწარმოს.	დირექცია, ხარისხის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის მენეჯერი, სასწ.პროცესის მენეჯერი, მოდულის განმახორციელებლები	ადამიანური და ფინასური რესურსი	
		კერძო სექტორთან და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების გაუმჯობესების თვალსაზრისით გრძელვადიანი დაგეგმვა და შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეული ჩამოყალიბება;	ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა ან პასუხისმგებელი პირის/პირების განსაზღვრა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.	მაისი, ივნისი, სექტემბერი	კერძო სექტორი აქტიურად მონაწილეობს პროფესიული სასწავლო პროგრამების შემუშავებაში და დანერგვაში. კოლეჯს ჰყავს საერთაშორისო პარტნიორი საგანმანათლებლო ორგანიზაციები, მათთან გაფორმებულია მემორანდუმები და ხორციელდება გაცვლითი პროგრამები.	კოლეჯის დირექტორი და შესაბამისი საშტატო ერთეული/განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები.	ადამიანური და ფინასური რესურსი	
5	***ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება***	არსებული ინფრასტრუქტურისა და მოწყობილობების გაუმჯობესება;	კოლეჯის ინფრასტრუქტურის განახლება სასწავლო პროგრამების და ავტორიზაციის 5 სტანდარტის შესაბამისად	წლის განმავლობაში სისტემატიურად მოთხოვნის წარმოშობისთანავე და პროგრამის დამატების შემთხვევაში	ინფრასტრუქტურა პასუხობს მოთხოვნებს, შეესაბამება სასწავლო პროგრამებს და ავტორიზაციის სტანდარტებს სრულად.	ადმინისტრაცია მატერიალური რესურსების კოორდინატორი	ადამიანური და ფინანსური რესურსები	

		• გურენიძის ქუჩაზე(N10) მდებარე სასწავლო სახელოსნოებში, გარემოს კეთილმოწყობა სასწავლო პროგრამების და სხვა აქტივობების შესაბამისად . • სასწავლო სახელოსნოების ოფიციალური გახსნა კოლეჯზე გადაცემის ცერემონიალის ორგანიზება, განათლების სამინისტროს, ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, კოლეჯის ბენეფიციარების და სხვა დაინტერესებული პირების მოწვევა, რეგიონში პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით.	1. სასწავლო აუდიტორიების შიდა სივრცეების კეთილმოწყობა კომფორტული გარემოს ორგანიზება. 2. გახნა-გადაცემის ღონისძიების ორგანიზება, საპატიო სტუმრების მოწვევა მასპინძლობა	თებერვალი მარტი აპრილი	1.გურენიძის ქუჩაზე(N10) მდებარე სასწავლო სახელოსნოების შიდა სივრცეში არის კომფორტული გარემო სხვადასხვა ღონისძიებებისთვის 2. განხორციელდა სახელოსნოების ოფიციალური გახსნა-გადაცემა კოლეჯზე, მოწვეულმა სტუმრებმა მიიღეს ინფორმაცია ობიექტის დანიშნულების და განხორციელებული პროგრამების შესახებ, რაც ასევე გაშუქდა სოციალურ ქსელებსი და სხვა საინფორმაციო საშუალებებში.	დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმის მენეჯერი, მატერიალური რესურსების კოორდინატორი, შესყიდვების სპეციალისტი, შესყიდვების სპეციალისტი		
		სასწავლო კორპუსისა და საერთო საცხოვრებელის მშენებლობა კონცეფციის შესაბამისად გურგენიძის ქუჩაზე N10 ზე არსებულ მიწის ნაკვეთზე. სასწავლო სახელოსნოების აღჭურვა.	აქტუალურ საკითხად დარჩეს, სასწავლო კორპუსისისა და სტუდენტებისათვის საერთო საცხოვრებლის მშენებლობა, ადგილობრივ დონეზე და განათლების სამინისტროში	წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს	კოლეჯს აქვს ახალი სასწავლო კორპუსი და მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი. სახელოსნოები აღჭურვილია სასწავლო პროგრამების შესაბამისად	დირექტორი და ადმინისტრაცია. მატერიალური რესურსების მენეჯერი.შესყიდვების მენეჯერი		

			დაისვას საკითხი ,,ინოვაციების ლაბორატორიის ,,ფაბლაბი“-ს სახელოსნოს, სპეციალურ ად აღჭურვილ გარემოში განთავსების შესახებ	შესაძლებლობისთანა ვე	ინოვაციების ლაბორატორია ,,ფაბლაბი“ განთავსებულია სასწავლო კორპუსის გარეთ სპეციალურად აღჭურვილ გარემოში, სახელოსნოში.			
6	***სერვისები, ფინანსური დამოუკიდებლო ბა და შემოსავლების სქემების დივერსიფიცირება და უზრუნველყოფა***	• საკუთარი შემოსავლებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხის მოწესრიგება და საკუთარი შემოსავლების გაზრდა, კერძო დაფინანსების სქემების გაუმჯობესება;	საქართველოს მთავრობის დადგენილების (N3 2022 წ 12იანვარი) ,,სასწავლო პროცესისი ფარგლებში შექმნილი პროდუქციისა/ გაწეული მომსახერეობის ღირებულების განსაზღვრისა და მიღებული შემოსავლების განკარგვის წესის შესახებ“ მოთხოვნის შესაბამისად შიდა რეგულაციების შემუშავება.	წლის განმავლობაში	მოწესრიგებულია სამართლებრივი ბაზა, გაზრდილია საკუთარი შემოსავლები. უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამების ფინანსური მგრადობა.	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, იურისტი, ფინანსური მენეჯერი	ადამიანური რესურსი	
		• სხვადასხვა სახის სერვისების შეთავაზება და გაუმჯობესება, მათ შორის: ვეტერინარიული მომსახურება, ექსტენციის მომსახურება, მუნიციპალიტეტისა	ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და რეგიონში მოღვაწე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება. მათ მიერ გამოცხადებულ	წლის განმავლობაში შესაძლებლობისთანა ვე	კოლეჯში არსებობს ექსტენციის ცენტრი,სოფლის მეურნეობის მიმართულებით. კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვ არასამთავრობო ორგანიზაციებთან რაც	ადმინისტრაცია კოლეჯის ნებისმიერი თანამშრომელი, კვალიფიკაციის	ადამიანური და ფინანსური რესურსი	

		და რეგიონის მასშტაბით სხვადასხვა საზოგადოებრივი ღონისძიებების მომსახურება, თაფლის წარმოება, აგრო-ტურიზმის მიმართულების განვითარება. • ისეთი საგრანტო პროექტებში მონაწილეობის მიღება, რომელიც გაზრდის ან გაუჩენს კოლეჯს დამატებით შემოსავალს.	პროექტებში მონაწილეობის მიღება, ექსტენციის ცენტრის განვითარება.		დასტურდება მემორანდუმებით და მათ მიერ გამოცხადებულ საგრანტო პროექტებში მონაწილეობით; მომსახურეობიდან კოლეჯს მიღებული აქვს შემოსავლები, აგროტურიზმის მოთხოვნით არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა. კოლეჯში განხორციელდა საგრანტო პროექტი რომლითაც შეიქმნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სწავლებისა და დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით	შესაბამისად, ვისაც სურვილი აქვს და შეუძლია მიიღოს საგრანტო პროექტში რაიმე სახით მონაწილეობა.		
			კოლეჯის მეფუტკრეობის მეურნეობის განვითარების და მომზადება/გადამზადებ ისპროგრამის „მეფუტკრის“ დამატების მიზნით საგრანტო პროექტებში მონაწილეობის მიღება.	წლის განმავლობაში შესაძლებლობისთანა ვე				
			აგროტურიზმის მიმართულებით კოლეჯის ინფრასტრუქტურის განვითარება გურგენიძის N10-ში მდებარე ნაკვეთზე.	წლის განმავლობაში შესაძლებლობისთა ნავე				

		• პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მომზადება/გადამზადების პროგრამების, დაფინანსების დივერსიფიცირება, მდგრადობის გაზრდის მიზნით. • საგრანტო პროექტების მოპოვება, რაც გაზრდის პროგრამების განხორციელების მდგრადობას.	კოლელეჯში არსებული ან და ახლად გამოკვეთილი მოთხოვნადი პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად და სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით საგრატო დაფინანსების მოპოვება .	წლის განმავლობაში შესაძლებლობისთა ნავე	• კოლეჯს მიღებული აქვს საგრანტო პროექტებში მონაწილეობა და წარდგენილი აქვს პროექტები გრანტის მოსაპოვებლად. • კოლეჯში ხორციელდება სასწავლო პროგრამები მიღებული საგრანტო დაფინანსებით.	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მენეჯერი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, ასევე ნებისმიერი კოლეჯის თანამშრომელი ვისაც შეუძლია და სურვილი აქვს საგრანტო პროექტებში მონაწილეობის.	ადამიანური რესურსი	

დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად სსიპ კოლეჯი „ერქვანის" 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტი

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის მოთხოვნა (ლარი)	მათ შორის კვარტალის შესაბამისად			
			I - კვარტალი	II - კვარტალი	III - კვარტალი	IV- კვარტალი
32 03 01-05	სსიპ - კოლეჯი „ ერქვანი “	337 326,00	87 131,50	88 531,50	79 831,50	81 831,00

2024 წლის სამოქმედო გეგმა, შედგენილია კოლეჯის თანამშრომლების აქტიური ჩართულობით, სამუშაო ჯგუფში განხილვის შედეგად.